MES 7 20 00348029

26/04/2020

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა-Zoom-ის გამოყენებით **2020 წლის 10 აპრილს.**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე - პრეზიდენტი, პროფესორი, მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარ ლაღიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი - საბჭოს მდივანი;
დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
ნინო ინასარიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის "გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია" და სამაგისტრო პროგრამის " გამოყენებითი ბიომეცნიერებები" ხელმძღვანელი;
მაია მანწკავა - სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ - ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი;
მორისი შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოციირებული პროფესორი;
იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;

ირაკლი კოხრეიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე - რექტორი, ონკოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
თამარ იოსელიანი - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი;
ირმა ჭანტურია - შპს „ღვინის ლაბორატორიის“ დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლალი გიორგიძე - უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
გაგა გვენეტაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
გიორგი მუნჯიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

1. შპს მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტი:

მარიამ მესხიშვილი-ეფაძე - რექტორი;
დევი ხვედელიანი - რექტორის მოადგილე;
ზურაბ ლობჟანიძე - სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;
ზურაბ მურადაშვილი - ხარისხის მართვის სამსახურის წარმომადგენელი;
ნატალია ბარათელი - რექტორის მრჩეველი;
ამირან გიგუაშვილი - დაწესებულების იურისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):
ნინო ღაღანიძე;
ნიკოლოზ ფარჯანაძე;
გოჩა თუთბერიძე;
დავით ტეფნაძე.

სხვა დამსწრე პირები:
ქრისტინე გაბისონია - სტენოგრაფისტი;
დავით ცირამუა - დამსწრე;
ნინო ფოფხაძე - დამსწრე;

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 14:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ზარანდიამ. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის

დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181-ე დადგენილებით დამტკიცებული, ,,საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების“ განკარგულების მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი საბჭოს ანიჭებდა უფლებამოსილებას, რომ ავტორიზაციის დებულებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოებები განეხილა და გადაწყვეტილება მიეღო დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. შპს მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ მონიტორინგის ვიზიტის შედეგად შედგენილ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ დასკვნას და შესაბამის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა მონიტორინგის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს წარმოედგინათ მათი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ღაღანიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი ცენტრის დირექტორის 2019 წლის 13 იანვრის ბრძანების საფუძველზე განხორციელდა. ვიზიტის საფუძველი გახდა ცენტრში დაფიქსირებული განცხადება, სადაც აღნიშნული იყო, რომ შპს მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტში სწავლობდნენ აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტები, რომლებიც არ ფლობდნენ ქართულ ენას, თუმცა უნივერსიტეტი ამ სტუდენტებზე გასცემდა უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დიპლომებს, განცხადებაში ასევე გამოთქმული იყო მეორე მოსაზრება, რომ ინსტიტუციის მიერ ხდებოდა იმ სტუდენტების შეცდომაში შეყვანა, რომლებმაც ვერ დაძლიეს ქართულ ენაში მომზადების პროგრამა და დაწესებულების წარმომადგენლები მათ ეუბნებოდნენ, რომ ისინი გადაყვანილნი იყვნენ ბაკალავრიატის პირველ კურსზე და ითხოვდნენ მათგან სწავლის საფასურის გადახდას.

ექსპერტებმა წინასწარ, მიმდინარე წლის 13 იანვარს, განსაზღვრეს, რომ მონიტორინგის ფარგლებში დაწესებულება შეფასებოდა ავტორიზაციის სტანდარტების - 2.1 (ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა), 2.2 (შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები), 3.3 (სწავლის შედეგების შეფასება), 5.1 (სტუდენტთა უფლებები) და 5.2 (სტუდენტთა მხარდაჭერის სერვისები) კომპონენტებთან მიმართებით.

ნინო ღაღანიძის განმარტებით, ვიზიტი შედგა 2020 წლის 14-15 იანვარს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ცალკეული სამსახურების წარმომადგენლებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და სტუდენტებთან. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდი ემთხვეოდა დასკვნითი გამოცდის პერიოდს, ექსპერტების ერთ - ერთი მიზანი იყო უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან შეხვედრა. ამ მიზნით, ექსპერტებმა 14 იანვარს დაწესებულების წარმომადგენლებს გადასცეს აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტების სია, რომლებთანაც შეხვედრის ორგანიზება თხოვეს ვიზიტის მე-2 დღეს, ანუ, 15

იანვრისათვის. ინსტიტუციაში ჩარიცხული აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტების სია აღებული იყო განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული სტუდენტთა სიიდან 14 იანვრის მონაცემებით. თუმცა, 15 იანვარს აღმოჩნდა რომ სიაში არსებული აზერბაიჯანელი მოქალაქეების უმრავლესობას სტატუსი შეჩერებული ჰქონდა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნული ფაქტი იმით ახსნა, რომ მონაცემები სისტემაში გვიან ასახეს და რომ რეალურად სტუდენტებისათვის სტატუსის შეჩერებაზე რექტორის ორი ბრძანება ხელმოწერილი იყო 2019 წლის 31 დეკემბერს და 2020 წლის 10 იანვარს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, იმ სტუდენტებიდან ვისთანაც მოხერხდა გასაუბრება, სამი მათგანი იყო ეროვნებით აზერბაიჯანელი, ისინი სასაუბრო დონეზე ფლობდნენ ქართულ ენას, სტუდენტების ეს რაოდენობა კი არ აღმოჩნდა საკმარისი ამ საკითხზე წარმოდგენის შესაქმნელად. ექსპერტის თქმით, ერთ-ერთ აზერბაიჯანელ სტუდენტს ჰკითხეს დაესახელებინა საგნები, რომელსაც მიმდინარე სემესტრში გადიოდა, რაც სტუდენტმა ვერ მოახერხა. ასევე, ექსპერტებს ჰქონდათ რამდენიმე მცდელობა ტელეფონის საშუალებით დაკავშირებოდნენ აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტებს, თუმცა ზოგ შემთხვევაში ზარს არა სტუდენტი, არამედ სხვა პირი პასუხობდა, რომლებიც დაწესებულების ინფორმაციით შესაძლებელია ყოფილიყვნენ აგენტები, რომელთა გავლითაც სტუდენტები ჩაირიცხნენ მოცემულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ სოციალური ქსელის საშუალებით აზერბაიჯანის მოქალაქე ერთ-ერთ სტუდენტთან მოხდა დაკავშირება, თუმცა ვერ მოხერხდა მისი პიროვნების იდენტიფიცირება, რადგან ამ სტუდენტის პირად საქმეში დაცული ფოტო იყო დაბალი ხარისხის, რამაც ექსპერტებს საშუალება არ მისცა დაედგინათ მისი ვინაობა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ მოთხოვნილი მარეგულირებელი დოკუმენტები და სხვა დოკუმენტაცია ძირითადად წარმოდგენილი იყო. ჩატარებული ინტერვიუებითა და დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე განსაზღვრული სტანდარტები შეფასდა შემდეგნაირად: 2.1 და 2.2 სტანდარტის კომპონენტები - ნაწილობრივ შესაბამისი მოთხოვნებთან, 3.3 სტანდარტის კომპონენტი - შეუსაბამოდ, ხოლო 5.1 და 5.2 სტანდარტის კომპონენტები შეფასდა, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ წარადგინა შეფასების ფარგლებში ექსპერტების მიერ გაკეთებული რეკომენდაციები:

- აუცილებელია, დაზუსტდეს უსდ-ს სახელწოდება, რათა დაზუსტდეს უსდ საგანმანათლებლო დაწესებულების რომელ სახეს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ უსდ-ს სახელწოდება არ იყოს დამაბნეველი;
- აუცილებელია, უსდ-ს საქმისწარმოების სამსახურში საქმისწარმოების პროცესების გამართვა და მონიტორინგის მექანიზმის შემოღება, რათა უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დროულად და ზუსტად აისახოს უსდ-ს ინფორმაცია, მაგ. აქტიური სტატუსისა და სტატუსშეჩერებული სტუდენტების შესახებ ინფორმაცია;
- აუცილებელია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ეფექტური მექანიზმებით უზრუნველყოს დაწესებულების ყველა სტრუქტურული ერთეულის და აკადემიური/მოწვეული პერსონალის უფრო აქტიურად ჩართვა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში, ხარისხის კულტურის გასავითარებლად;
- აუცილებელია სასწავლო კურსების სილაბუსებით განსაზღვრული შეფასების ფორმების ზედმიწევნით შესაბამისობაში მოყვანა რეალურ საგამოცდო პროცესთან;
- აუცილებელია სტუდენტური გამოკითხვების სტიმულირება და გააქტიურება (გამოკითხვა ელექტრონულად მიმდინარეობს), რათა სტუდენტების მთელი კონტინგენტი ჩართული იყოს პროცესში;

- აუცილებელია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პერმანენტულ რეჟიმში ამოწმებდეს სასწავლო კურსებში მითითებულ საკონტაქტო ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში ოპერატიულად აახლებდეს მას;
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის ადეკვატური შეფასება თითოეული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- დაწესებულებამ უნდა დაიცვას თავის მიერ შემუშავებული და დაინტერესებული მხარეების მიერ გაზიარებული შეფასების პროცედურები (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, გამოცდების ჩატარების წესი, საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსის სილაბუსით განსაზღვრული შეფასების კომპონენტები და ფორმები);
- შეფასებისა და აპელაციის წესები უნდა იყოს ქმედითი და გამოყენებადი;
- სასწავლო კურსის სილაბუსები უნდა იყოს შემუშავებული მათი განმახორციელებლების მიერ და მითითებული რეკვიზიტები უნდა აძლევდნენ სტუდენტებს უკუკავშირის შესაძლებლობას;
- ხარისხის სამსახურის ფუნქცია შეფასებებთან დაკავშირებით, განსაკუთრებით შეფასების სილაბუსის მოთხოვნებთან შესაბამისობის ასპექტით, უნდა იყოს ქმედითი და არა ფორმალური;
- გამოცდის შედეგები მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, გონივრული ვადით, უნდა იყოს შენახული.
- განახლდეს სასწავლო დაწესებულების ვებ-გვერდი და მასზე განთავსდეს „მილენიუმი სასწავლო უნივერსიტეტის“ მარეგულირებელი დოკუმენტები;
- მიეცეთ სტუდენტებს საშუალება გადაიხადონ სწავლის საფასური კრედიტების/საგნების შესაბამისად;
- სტუდენტური თვითმმართველობა უნდა იყოს უფრო მეტად აქტიური და ცნობადი უსდ-ში;
- უსდ-ში უნდ არსებობდეს კარიერული წინსვლისა და დასაქმების სამსახური;
- უსდ-მ უნდა უზრუნველყოს სტუდენტების დასაქმების სტატისტიკური მონაცემების მოპოვება და დამუშავება.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს უფრო დეტალურად ესაუბრა საგამოცდო ნაშრომებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდი დაემთხვა საგამოცდო პერიოდს და როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა საგამოცდო ნაშრომები დაწესებულების წარმომადგენლებისგან მიიღეს პასუხი, რომ ეს იყო შეუძლებელი საგამოცდო პერიოდის დასრულებამდე და რომ ეს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში გარკვეულ ცვლილებას მოითხოვდა.

საბჭოს თავმჯდომარემ რეკომენდაციებთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების ვიცე-რექტორმა, დევი ხვედელიანმა აღნიშნა, რომ 2019 წლის 18 ნოემბრამდე მათი დაწესებულების სახელწოდება იყო „ნიუ უნივერსითი“, შემდეგ მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტი, ბოლოს კი გადაწყვიტეს მიეღოთ სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი რაც ასახეს ცენტრისათვის უკვე წარდგენილ საავტორიზაციო განაცხადში. ინსტიტუციის ვიცე-რექტორმა დევი ხვედელიანმა აღნიშნა, რომ დაწესებულების დასახელება სტუდენტების შეცდომაში შემყვანი ვერ იქნებოდა, რადგან დაწესებულების სტატუსად საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და კულტურის სამინისტროს ვებგვერდებზე მითითებული იყო, როგორც კოლეჯი. მან ასევე დაამატა, რომ ექსპერტებიც ადასტურებდნენ დასკვნაში, რომ სტუდენტებს გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ სწავლობდნენ კოლეჯში. გარდა ამისა, ახალი

ინფორმაციით პარტნიორთა კრებამ მიიღო გადაწყვეტილება სახელწოდებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობდა ინსტიტუციის დასახელების ფორმულირებას, როგორც - შპს მილენიუმ უმაღლესი სასწავლებელი.

საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ზარანდია დაინტერესდა ბრძანებასთან დაკავშირებულ გარემოებებით, კონკრეტულად, თუ რა საფუძველით შეუჩერდათ სტუდენტებს სტატუსი.

დაწესებულების სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ზურაბ ლობჟანიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ 2019 წლის 30 დეკემბერსა და 2020 წლის 10 იანვარს ნამდვილად შეუჩერდათ სტუდენტებს სტატუსი, რასაც საფუძვლად ედო მათი მოქმედი რეგულაციების მე-4 ნაწილის მე-13 მუხლი, რაც მოიცავდა ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობას სტუდენტების ერთი ნაწილის შემთხვევაში, ან ფინანსურ დავალიანებას სხვა სტუდენტების შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ ბრძანებაში სტუდენტებისთვის სტატუსის შეჩერების საფუძველი არ იყო დაკონკრეტებული. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ როდის დაიწყო და დასრულდა შემოდგომის სემესტრი და რით ხსნიდა ინსტიტუცია იმას, რომ სტუდენტებს სემესტრის ბოლოს შეუჩერდათ სტატუსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ზურაბ ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ სტუდენტების მხრიდან სემესტრის განმავლობაში იყო მომართვები სწავლის საფასურის გადახდის გადავადებასთან დაკავშირებით, თუმცა დასკვნითი გამოცდის დასაწყისისთვის უკვე მოხდა ბრძანების გამოცემა, რადგან სწავლის საფასურის გადახდის გადავადების ვადები ამოწურული იყო, სტუდენტების მხრიდან მოხდა ხელშეკრულების დარღვევა.

საბჭოს წევრი, ნუგზარ სხირტლაძე დაინტერესდა თუ როგორ ხდებოდა სტუდენტების აკადემიური რეგისტრაცია და როგორ იყო დაკავშირებული ეს საფასურის გადახდასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზურაბ ლობჟანიძემ განმარტა, რომ დაწესებულებაში მოქმედებდა სასწავლო პროცესის მართვის სისტემა. სტუდენტთა ძირითადი ნაწილი რეგისტრირდებოდა ამ სისტემით, თუმცა გარკვეული ფინანსური შეღავათებისთვის შესაძლებელი იყო განცხადების რეგისტრაცია რექტორის ან სასწავლო პროცესების მართვის სამსახურთან მიმართვით. აკადემიური რეგისტრაცია კი შესაძლებელი იყო დეკანთან ან სასწავლო პროცესების მართვის სამსახურთან კონსულტაციის შემდეგ.

საბჭოს წევრი, ნუგზარ სხრიტლაძე, დაინტერესდა რამდენად იყო დაკავშირებული ეს პროცესი სწავლის გადასახადთან. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სისტემა გადასახადთან პირდაპირ იყო დაკავშირებული, ვინაიდან ფინანსური სამსახურიდან დავალიანებული სტუდენტების ბლოკირება ხდებოდა, შემდეგ მზადდებოდა ბრძანება სტატუსის განსაზღვრის შესახებ.
საბჭოს წევრმა, მორის შალიკაშვილმა აღნიშნა, რომ როგორც მან გაიგო სტუდენტთა უმრავლესობა იყო აზერბაიჯენელი, შესაბამისად მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხელშეკრულება სტუდენტებთან ფორმდებოდა თუ არა აზერბაიჯანულ ენაზე და ასევე კითხვით მიმართა ექსპერტებს თუ ნახეს ეს კონტრაქტები სტუდენტებთან აზერბაიჯანულ ენაზე.

საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ზარანდია ჩაერთო და განმარტა, რომ საუბარი ეხებოდა აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტებს, რომლებიც დაწესებულებაში სწავლობდნენ ქართულ ენაზე და შესაბამისად ივარაუდებოდა, რომ დოკუმენტებიც უნდა ყოფილიყო ქართულად.

საბჭოს წევრმა, მორის შალიკაშვლმა დამატებით აღნიშნა, რომ მას არ დარჩა შთაბეჭდილება, რომ ამ სტუდენტებმა ქართული ენა საკმარისად კარგად იციან, რომ სრულყოფილად გაეგოთ ხელშეკრულების პირობები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ვიზიტის მთავარი საძიებელი საკითხი სწორედ ეს იყო, ვინაიდან ცენტრში შესულ საჩივარში აქცენტი იყო გაკეთებული, რომ აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტები არ ფლობდნენ ქართულ ენას. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებმა ნახეს 3 სტუდენტი, რომლებიც სასაუბრო ქართულ ენას ფლობდნენ. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ღაღანიძემ აღნიშნა, რომ რადგან აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტები დაწესებულებაში სწავლობდნენ ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებზე, ექსპერტთა ჯგუფმა ჩათვალა, რომ სტუდენტებს ქართული ენა უნდა სცოდნოდათ. შესაბამისად, დაწესებულების მხრიდან სტუდენტთა კონტრაქტების აზერბაიჯანულ ენაზე მომზადების საჭიროება ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაინახა და ამიტომ ხელშეკრულებების ნახვა აზერბაიჯანულ ენაზე ექსპერტთა ჯგუფს არ მოუთხოვია.

საბჭოს წევრი, თამარ ლაღიძე დაინტერესდა თუ როგორი იყო უცხოელი სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურა, რაზეც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ცენტრში შემოსული განცხადების მიხედვით, სტუდენტები საბაკალავრო პროგრამებზე ირიცხებოდნენ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის წარმატებულად გავლის და გაუვლელობის შემთხვევაშიც, ხოლო ვიზიტზე ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა ხაზგასმით დააფიქსირეს რომ ასეთი რამ შეუძლებელი იყო და მხოლოდ მოსამზადებელი პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ ირიცხებოდნენ პროგრამაზე.

საბჭოს წევრი, თამარ ლაღიძე, ასევე დაინტერესდა თუ რა ხანგრძლივობის იყო ეს პროგრამა, ქართული ენის ცოდნის რომელ დონემდე აჰყავდა სტუდენტები და ნახეს თუ არა ექსპერტებმა ამ პროგრამის ფარგლებში შესრულებული სტუდენტთა საბოლოო ნაშრომები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ეს იყო ქართულ ენაში მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა. ხოლო კითხვაზე - თუ ნახეს ექსპერტებმა ამ პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა მიერ შესრულებული საბოლოო ნაშრომები, რომლითაც გაიზომებოდა სტუდენტის მიერ პროგრამის შედეგების მიღწევადობა, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დასძინა, რომ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტთა საბოლოო ნაშრომები მათ არ უნახავთ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დევი ხვედელიანმა განმარტა, რომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არ ითვალისწინებდა რაიმე სახის საბოლოო ნაშრომის დაწერას, რაც შეეხებოდა შეფასების სისტემას, სტუდენტი, რომელიც ვერ მიიღებდა 60 კრედიტს ვერ ჩაირიცხებოდა საბაკალავრო პროგრამაზე. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებს აჩვენეს სტატისტიკაც, რომლის მიხედვითაც 80-მა მსმენელმა ვერ დაასრულა საგანმანათლებლო პროგრამა და ვერ მიიღო სერტიფიკატი, შესაბამისად ვერ ჩაირიცხნენ საბაკალავრო პროგრამაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამატა, რომ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა მიერ შესრულებული საბოლოო ნაშრომები არ უნახავთ, თუმცა ნახეს სტუდენტების მიერ შესრულებული ტესტები, რის შესახებაც ექსპერტს ნიკოლოზ ფარჯანაძეს სთხოვა ესაუბრა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ნიკოლოზ ფარჯანაძემ აღნიშნა, რომ მათ ნახეს ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე მისაღები გამოცდის ვიდეო ჩანაწერები, რომლებიც ეგზავნებოდა

განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, დადგენილი წესის შესაბამისად. თუმცა, მსგავსი ვიდეო ჩანაწერები არ იყო გაკეთებული დაწესებულების მიერ ყველა სტუდენტის შემთხვევაში.

საბჭოს წევრი, მაია მანწკავა დაინტერესდა ექსპერტებმა ნახეს თუ არა სტუდენტების მიერ შესრულებული ნაშრომები, რომელიც გარკვეულწილად მოიცავდა კვლევით კომპონენტს. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, დაწესებულება ახორციელებდა თუ არა სადოქტორო ან სამაგისტრო პროგრამებს, დაწესებულებას უნდა ჰქონოდა გარკვეული გამოცდილება ამ მიმართულებით. იგი ასევე, დაინტერესდა თუ რა პროპორციით იყვნენ წარმოდგენილები საქართველოს მოქალაქე და სხვა ქვეყნის მოქალაქე სტუდენტები დაწესებულებაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სტუდენტების მიერ შესრულებული ნაშრომები, რომელიც მოიცავდა კვლევის კომპონენტს ექსპერტთა ჯგუფს არ უნახავს, რადგან მონიტორინგის ფარგლებში ინსტიტუციის შესაბამისობის შეფასება ავტორიზაციის კვლევის სტანდარტთან მიმართებით არ მომხდარა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დევი ხვედელიანმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა არ თვალისწინებდა საბოლოო ნაშრომის შესრულებას სტუდენტები მიერ, როგორც ეს სავალდებულო იყო, მაგალითად, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ფარგლებში. მან აღნიშნა, რომ ასევე სამართლის პროგრამის ფარგლებში არ იყო სავალდებულო საბოლოო ნაშრომის წარმოდგენა. შესაბამისად, ექსპერტების მხრიდან ნაშრომების ნახვა არ მომხდარა.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ დაწესებულების წარმომადგენლებს სთხოვა დაეზუსტებინათ, არსებული მდგომარეობით რამდენი აზერბაიჯანის მოქალაქეობის მქონე აქტიური სტატუსის სტუდენტი იყო დაწესებულებაში, ან ხომ არ აღიდგინეს სტატუსი აზერბაიჯანის მოქალაქე იმ სტუდენტებმა, რომელთაც სტატუსი ჰქონდათ შეჩერებული მონიტორინგის ვიზიტისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზურაბ ლობჟანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში სწავლობდა 6 აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტი, რომელთაგან 3 შეხვდა ექსპერტებს. მან დაამატა, რომ დაწესებულებაში სწავლობდა 350 საქართველოს მოქალაქე, 30 თურქეთის მოქალაქე, რომლებიც სწავლობდნენ ფარმაციისა და ბიზნესის ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამებზე. ინსტიტუციის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ სემესტრის დაწყებისას 180 სტუდენტს ჰქონდა სტატუსი შეჩერებული, რომელთაგან სამმა სტუდენტმა უნივერსიტეტს მიმართა და აღუდგათ სტატუსი. მისი თქმით, 2020 წლის 6 აპრილამდე მიმდინარეობდა მოსამზადებელი პროცესი, სტუდენტებს სწავლის დაწყებიდან 1 თვის მანძილზე შეეძლოთ სტატუსის აღდგენა, მათ გაეგზავნათ შეტყობინება, რომ 2020 წლის 24 თებერვლიდან 1 თვის ვადაში შეეძლოთ აღედგინათ სტატუსი და რომ ასევე ჰქონდათ შესაძლებლობა მომდევნო სემესტრიდან აღედგინათ სტატუსი.

საბჭოს წევრმა, მორის შალიკაშვილმა დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა დაეზუსტებინა 350 საქართველოს მოქალაქე სტუდენტიდან რამდენი იყო ეროვნებით აზერბაიჯანელი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა დაუზუსტა, რომ დაახლოებით 4-5 სტუდენტი იყო ეროვნებით აზერბაიჯანელი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად მურადაშვილმა განმარტა, რომ 60-კრედიტიან ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აზერბაიჯანელ, სომეხ, თურქ და სხვა ეროვნების სტუდენტებს შეეძლოთ სწავლა. ქართულ ენაში მომზადების

საგანმანათლებლო პროგრამას მიღების სხვა პირობები ჰქონდა და ბაკალავრიატის საფეხურის პროგრამებზე უცხოენოვანი სტუდენტების მიღებას სხვა. მისი თქმით, ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას ვინც ასრულებდა მას ჰქონდა უფლება სწავლა გაეგრძელებინა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე. რაც შეეხებოდა უცხო ქვეყნის მოქალაქის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვას, ყველა უმაღლესს ჰქონდა ვალდებულება რომ მათი ენის კომპეტენციის დამადასტურებელი ჩანაწერი უნდა ჰქონოდათ და გაეგზავნათ სამინისტროში, რათა მიეღოთ თანხმობა ჩარიცხვისთვის. საბჭოს წევრმა, თამარ ლაღიძემ დაამატა, რომ მისი აზრით, ენის კომპეტენციას ეს ჩანაწერი ვერ განსაზღვრავდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზვიად მურადაშვილმა დასძინა, რომ ეს იყო სამინისტროს მოთხოვნა.

საბჭოს წევრი, მორისი შალიკაშვილი კვლავ დაინტერესდა თუ ვინ გადიოდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია ბარათელმა აღნიშნა, რომ ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამამ 2014 წელს გაიარა აკრედიტაცია, რომელზეც 120-მა სტუდენტმა ისწავლა. 4 წლის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამას გაუვიდა აკრედიტაციის ვადა, ამ სტუდენტებიდან 50-მა სტუდენტმა წარმატებით გაიარა საგანმანათლებლო პროგრამა და მათ მიეცათ საშუალება ბაკალავრიატში ჩარიცხულიყვნენ, ახლახან ამ საგანმანათლებლო პროგრამამ გაიარა რეაკრედიტაცია, სადაც ჯერ სტუდენტი არ ჰყოლიათ. გარდა ამისა, მისი განმარტებით, უცხოენოვანი სტუდენტებისათვის არსებობდა ქართული ენის მოსამზადებელი სასერტიფიკატო პროგრამა.

საბჭოს წევრი, ირაკლი კოხრეიძე დაინტერესდა ქართული ენის ტესტის შედგენის რა მეთოდოლოგია ჰქონდათ. ასევე, დაინტერესდა უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში ყველაზე დასამახსოვრებელი ფარმაციის მიმართულებით რა სამეცნიერო აქტივობაში იყო პერსონალი ჩართული.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ქართული ენის ტესტის შედგენის მეთოდოლოგიას ვერ წარმოადგენენ რადგან ქართული ენის მოსამზადებელი პროგრამის პერსონალი საბჭოს სხდომაზე არ ჰყავდათ წარმოდგენილი, ტესტები აკადემიური თავისუფლების ფარგლებში შემუშავდა, რაც შეეხებოდა ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამას ის იყო მილევად რეჟიმში.

საბჭოს წევრმა, ირაკლი კოხრეიძემ განმარტა, რომ კონკრეტული სწავლის შედეგზე გასვლისთვის უნდა არსებულიყო გარკვეული კრიტერიუმები, რომლებზე გასვლაც დამოკიდებული იყო მეთოდოლოგიაზე. შეფასების ინდიკატორებს რომ ეარსება, შესაფასებელი კითხვის შემუშავების მეთოდოლოგია უნდა ყოფილიყო გამართული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია ბარათელმა აღნიშნა, რომ მას თან არ ჰქონდა ტესტი და ამაზე ვერ უპასუხებდა, თუმცა ეს ტესტი შეიძლება ყოფილიყო წარმოდგენილი ღია ტესტად, სათარგმნად, სასაუბრო ტესტირებად. მან აღნიშნა, რომ ექსპერტებს არ გამოუხატავთ ამ კუთხით ინტერესი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტმა, ნიკოლოზ ფარჯანაძემ საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს მოახსენა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა სტუდენტთა ენობრივ კომპეტენციებზე და ტესტების შინაარსზე სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში, რის შედეგადაც მათ დაადგინეს, რომ ტესტების და მათი შინაარსი საკმაოდ მარტივი იყო, შეკითხვების უმეტესობა ტესტებში იყო დახურული ტიპის, რომლის

საფუძველზეც სტუდენტთა ენობრივი კომპეტენციის დადგენა შეუძლებელი იყო. შესაბამისად, ექსპერტებს სურდათ, რომ მოქმედი სტუდენტების გასაუბრების შედეგად მაინც დაედგინათ სტუდენტთა ენობრივი კომპეტენცია. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ასევე მოითხოვა მიმდინარე სემესტრში სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში შემუშავებული ტესტები, შესრულებული ნამუშევრები, თუმცა დაწესებულების წარმომადგენლებმა აუხსნეს რომ ეს შესაძლებელი იქნებოდა სასწავლო სემესტრის დასრულების შემდეგ. ექსპერტ ნიკოლოზ ფარჯანაძის განმარტებით, ექსპერტთა ჯგუფი ეცადა შემთხვევითობის პრინციპის საფუძველზე გასაუბრებოდნენ სტუდენტებს, თუმცა გასაუბრება მხოლოდ აზერბაიჯანის მოქალაქე 3 სტუდენტთან მოხერხდა.

საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ზარანდია დაინტერესდა, ვინაიდან ექსპერტებმა ვერ ნახეს სტუდენტთა მიერ შესრულებული ნაშრომები, საგამოცდო ნაშრომების შენახვის როგორი წესი და ვადები არსებობდა დაწესებულებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დევი ხვედელიანმა განმარტა, რომ სურდა კომენტარი გაეკეთებინა საგამოცდო ნაშრომების შინაარსის შესახებ და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა თავისი სილაბუსებით იყო აკრედიტებული, შეფასების კრიტერიუმები გაწერილი იყო პროგრამის აღწერის დოკუმენტსა და თითოეულ სილაბუსში, რის მიხედვითაც ხდებოდა გამოცდების ჩატარებაც და ტესტების შემუშავებაც. მისი თქმით, სტატისტიკის მიხედვით სტუდენტების ერთმა მესამედმა დაასრულა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, რაც შეეხებოდა ტესტების შინაარს, დაწესებულების საბჭოზე დამსწრე წარმომადგენლები ვერ უპასუხებდნენ, ვინაიდან არ იყვნენ პროფესიით ფილოლოგები.

საბჭოს წევრმა, ირაკლი კოხრეიძემ დაამატა, რომ მას აინტერესებდა ტესტების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელსაც ეყრდნობოდა დაწესებულება და არა ტესტების შინაარსი.
ექსპერტმა, ნიკოლოზ ფარჯანაძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ როგორც დაწესებულების ადმინისტრაციამ ექსპერტებს აუხსნა, სტუდენტები ფასდებოდნენ, როგორც დახურული კითხვებისაგან შემდგარი ტესტური ნაშრომებით, ასევე ღია შეკითხვებიანი ნაშრომებით, რომელთაც სტუდენტები საბოლოო ტესტების შესრულებამდე წერდნენ, მაგრამ ვიზიტის დროს ექსპერტებმა მიმდინარე სემესტრში შესრულებული ასეთი ნაშრომები ვერ ნახეს.

საბჭოს წევრმა, ირაკლი კოხრეიძემ ასევე დაამატა, რომ ჰქონდა მეორე შეკითხვა ფარმაციის პროგრამასთან დაკავშირებით, რომელიც უკვე დასვა, თუმცა ამ ნაწილზე ჯერ პასუხი არ ჰქონდა მიღებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა დევი ხვედელიანმა ითხოვა განმარტების დამატება და აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს თან ჰქონდათ საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსი, სადაც შუალედური გამოცდა შედგებოდა 10 დახურული ტესტისგან და 4 ღია კითხვისგან, ღია კითხვები ფასდებოდა 0-დან 5-ქულამდე შეფასებებით, რაც ჯამურად იძლეოდა 20 ქულას, ხოლო თითოეული სწორად შემოხაზული დახურული კითხვა 1 ქულის ექვივალენტური იყო.

დაწესებულების წარმომადგენელი, ნატალია ბარათელი გამოეხმაურა საბჭოს წევრის ირაკლი კოხრეიძის კითხვას ფარმაციის პროგრამასთან დაკავშირებით, მისი განმარტებით, ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამა იყო მილევად რეჟიმში, სადაც არ ჰქონდათ მიღება გამოცხადებული, აკადემიური პერსონალი კი ეჭვქვეშ არ დამდგარა, ვინაიდან ექსპერტებს კვალიფიკაციის შემოწმება არ ჰქონდათ დღის წესრიგით განსაზღვრული. მისი თქმით, მათ ჰყავდათ აზერბაიჯანის მოქალაქე 6 სტუდენტი აქტიური სტატუსით, რომელთაგან 3 მათგანი შეხვდა ექსპერტთა ჯგუფს. რაც შეეხებოდა იმას, რომ ვერ მოხერხდა სტუდენტებთან შეხვედრა,

ზოგად მიმოხილვაში ექსპერტები წერდნენ, რომ ისინი შეხვდნენ სტუდენტებს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, 14 იანვარს სტუდენტებს ჰქონდათ გამოცდა, 18:00 საათს აკლდა წუთები, როდესაც ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა მეორე დღეს სტუდენტებთან შეხვედრა და მათ მაინც მოახერხეს, რომ მოთხოვნილი 6 სტუდენტიდან, 3 სტუდენტთან დააორგანიზეს შეხვედრა. რაც შეეხებოდა სტუდენტთა გამოკითხვებს და შეფასებას, ყველა აკადემიურ პერსონალს ჰქონდა აკადემიური თავისუფლება. წლის ბოლოს ხარისხის სამსახური აკეთებდა კვლევას რამდენად იყო სილაბუსები და საგამოცდო ნაშრომები ერთმანეთთან თავსებადი. ექსპერტთა რეკომენდაციის შემდეგ მათ დაიწყეს მოკვლევა, იყო თუ არა შესაბამისობა სილაბუსებსა და საგამოცდო ნაშრომებს შორის, თუმცა მათი აზრით ეს იყო აკადემიური პერსონალის კეთისლინდისიერებაზე დამოკიდებული და ვერ ჩაერეოდნენ აკადემიური პერსონალის აკადემიურ თავისუფლებაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დააზუსტა, რომ ვიზიტი იყო 2-დღიანი, ვიზიტის პირველ დღეს - 14 იანვარს მათ ვერ შეძლეს სტუდენტების ნახვა ინსტიტუციაში. რადგან ინსტიტუციაში სტუდენტების ნახვა ვერ მოხერხდა ექსპერტთა ჯგუფი დაეყრდნო ემისის სტუდენტთა ბაზას და ინსტიტუციას სთხოვა ემისის მიერ მოწოდებული სტუდენტთა სიაში არსებული აქტიური სტატუსის მქონე 58 აზერბაიჯანის მოქალაქე სტუდენტიდან ვიზიტის მეორე დღისათვის ინტერვიუზე ყოფნა შეეთანხმებინათ აზერბაიჯანის მოქალაქე მინიმუმ 12 სტუდენტთან. მეორე დღეს კი აღმოჩნდა, რომ სტუდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას სტატუსი ჰქონდა შეჩერებული, რაც ინსტიტუციის თქმით ემისის ბაზაში არ იყო ასახული.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ კიდევ ერთხელ იკითხა საგამოცდო ნაშრომების შენახვის წესთან და ვადებთან დაკავშირებით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მას უნდოდა ყველა ზემოთჩამოთვლილ კითხვაზე გაეცა პასუხი, მათ შორის ორი ძირითადი კითხვისთვის, რომელთაგან ერთი ეხებოდა აკადემიური პერსონალის მიერ გამოცდების ჩატარებას და მეორე უცხოენოვანი სტუდენტების ქართული ენის კომპეტენციას, ასევე კითხვა იყო აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემაზე. მან აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას ჰქონდა ფუნქციონალი, რომ პედაგოგი რა ტესტებსაც ადგენდა ის შეეძლო აეტვირთა, სისტემის საშუალებით გარკვეული რაოდენობის ვადის დათმობა იყო შესაძლებელი კონკრეტული დავალების შესრულებისთვის, ყველა გამოცდა ვერ ტარდებოდა ელექტრონული ფორმით და ტარდებოდა წერილობითი ფორმით და ეთმობოდა სხვადასხვა დრო: 30 წუთი, 45 წუთი ან 1 საათი, საგამოცდო ცხრილში შესაძლოა ნახევარი საათი იყო დათმობილი გამოცდისთის, მაგრამ სტუდენტს შეეძლო გამოცდა ეწერა 1, 2 ან 3 საათის განმავლობაში.

საგამოცდო ნაშრომებთან დაკავშირებით კი დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს იყო სასესიო პერიოდი, როდესაც ნაშრომების ამოღება სისტემიდან ვერ ხერხდებოდა, მოგვიანებით კი მოხერხდა მათი ამოღება და რამდენიმე მათგანის ექსპერტებისთვის გადაცემა. რაც შეეხებოდა ნაშრომების შენახვას ელექტრონული სისტემით, ჩატარებული გამოცდების ნაშრომები ინახებოდა მუდმივად, მატერიალური სახით კი - აპელაციის ვადის გასვლამდე, რაც შეადგენდა 1 კვირას.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №72-ე ბრძანების 387^1 პუნქტის მიხედვით, ნაშრომი უნდა ინახებოდეს 3 წლის მანძილზე, ასევე დაამატა, რომ ნაშრომი გონივრული ვადით უნდა იყოს შენახული, რეგულაციის მიხედვით კი ეს არის 3 წელი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულება საკუთარ არგუმენტირებულ პოზიციაში დაეთანხმა მოსაზრებას, რომ ნაშრომები გონივრული ვადით უნდა ინახებოდეს.

საბჭოს თავმჯდომარე, თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ გადახედა დაწესებულების სამართლის პროგრამას და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს წარმოებასთან პირდაპირ კავშირში არ იყო, დაწესებულებას აკადემიური პერსონალის სიისთვის უნდა გადაეხედა, ვინაიდან გარკვეული კითხვის ნიშნები ამ ნაწილშიც იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაგრძო, რომ სამართლის საგანმანათლებლო პროგრამამ ვერ გაიარა აკრედიტაცია, ამჟამად ისინი მუშაობდნენ ხელახლა ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც დიდი ხანია აღარ ჰყავდათ სტუდენტები, წარმოდგენილი აკადემიური პერსონალი მუშაობდა ახალ საგანმანათლებლო პროგრამის პროექტზე. დღეის მდგომარეობით კი დაწესებულებაში ფუნქციონირებდა 7 საგანმანათლებლო პროგრამა.

საბჭოს წევრი, ნუგზარ სხირტლაძე, დაინტერესდა კარიერული ზრდისა და კურსდამთავრებულების საკითხით, კერძოდ კურსდამთავრებულებიდან რამდენი მუშაობდა პროფესიით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ჰყავდათ დაახლოებით 500 კურსდამთავრებული, დაწესებულებამ გაიარა რეორგანიზაციის პროცესი, მოხდა 2 დაწესებულების შეერთება. ასევე აღნიშნა, რომ ისინი აწარმოებდნენ კურსდამთავრებულების გამოკითხვას და მათი გამოკითხვის შედეგები საგანმანათლებლო პროგრამებში გათვალისწინებული იყო, ისინი ამ საკითხზე მუშაობდნენ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა იყო თუ არა აპელაციის შემთხვევა დაფიქსირებული, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 2 სტუდენტს ელექტრონულ სისტემაში შეექმნათ პრობლემა, რაც განიხილა დეკანატმა, დადასტურდა რომ იყო ხარვეზი და მოხდა მისი შესწორება. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ ვიზიტის დროს ინტერვიურებისას მხოლოდ ერთმა სტუდენტმა იცოდა შეფასებების გასაჩივრების არსებული მექანიზმის შესახებ. სტუდენტები ფართოდ ინფორმირებულები არ იყვნენ აპელაციის მექანიზმების შესახებ.

ექსპერტმა, დავით ტეფნაძემ დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში კურსდამთავრებულებთან მუშაობას ჰქონდა არაორგანიზებული ხასიათი, რადგან დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავდნენ - „სტუდენტმა დამირეკა“, „აქ დასაქმდა“ და ა. შ. რაც მოწმობდა იმას, რომ კურსდამთავრებულებთან მუშაობის პრაქტიკა არ იყო ინსტიტუციონალიზებული.

საბჭოს წევრი, მაია მანწკავა, დაინტერესდა ასისტენტ-პროფესორის თანამდბობაზე თუ ჰყავდათ დასაქმებული კურსდამთავრებული. ექსპერტმა, დავით ტეფნაძემ უპასუხა, რომ ასეთი ფაქტი ვიზიტის დროს არ გამოვლენილა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დევი ხვედელიანმა აღნიშნა, რომ აპელაციის წესი გაწერილი იყო სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც გამოქვეყნებული იყო დაწესებულების ვებ-გვერდზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ზურაბ ლობჟანიძემ განმარტა, რომ აპელაცია ეხებოდა დასკვნით გამოცდას. კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ჰქონდათ შეტყობინების სისტემა, თუ სტუდენტი არ გამოეხმაურებოდა მესიჯს, მაშინ ხდებოდა ტელეფონით დაკავშირება კურსდამთავრებულის დასაქმების შესახებ.

ექსპერტმა, ნიკოლოზ ფარჯანაძემ აღნიშნა, რომ დასაქმებასთან დაკავშირებული შეტყობინებები ექსპერტთა ჯგუფს არ უნახავს. მათ ნახეს ერთი შეტყობინება გამოცდებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა შეკითხვები დასვა აღნიშნულთან დაკავშირებით და დაადგინა, რომ კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციას არ ჰქონდა ორგანიზებული სახე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია ვერ მოხდებოდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით, რადგან ის ეხებოდა მათ სტუდენტებს და ვერ გაიგზავნებოდა ყოფილი ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებულებთან. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ შეფასების ელექტრონული სისტემა ჰქონდათ განახლებულ რეჟიმში, ვიზიტის დროს ექსპერტებმა ნახეს, რომ 40-მდე შეტყობინება იყო გაგზავნილი კონკრეტულად სასწავლო მიზნით სტუდენტებისთვის. ეს შეტყობინებები იყო გამოცდებთან ან ვადებთან დაკავშირებით ქართულ და ინგლისურ ენაზე შესაბამის სტუდენტებთან. რაც შეეხებოდა კურსდამთავრებულების გამოკითხვას, ის ჩატარდა იმ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელიც უნივერსიტეტში ხორციელდებოდა ადრე, წინააღმდეგ შემთხვევაში ავტორიზაციის თვითშეფასებისთვის მონაცემებს ვერ შეაგროვებდნენ.

საბჭოს წევრი, ირაკლი კოხრეიძე დაინტერესდა, დაწესებულების მოსაზრებით, ხომ არ იყო პრობლემა დაკავშირებული იმასთან, რომ დაწესებულების მართვის ორგანოებში სტუდენტების ჩართულობა იყო ნაკლები, ხომ არ იყო გასაუმჯობესებელი ამ კუთხით სტუდენტთა ჩართულობა, კონკრეტულად კი სტუდენტური თვითმართველობის აქტიური მონაწილეობა დაწესებულების მართვის სისტემებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატალია ბარათელმა განმარტა, რომ კოლეჯის სტუდენტურ თვითმმართველობას ჰქონდა თავისი დებულება, დაწესებულებას არ ჰქონდა უფლება ჩარეულიყო თვითმმართველობის საქმიანობაში, ის ხელს უწყობდა მას, შესაბამისად, სტუდენტები ყოველთვის იღებდნენ მართვაში მონაწილეობას, თვითმმართველობის პრეზიდენტი იყო აკადემიური საბჭოს წევრი, რომელსაც შეეძლო ნებისმიერი ღონისძიებისა და პროექტის დაფინანსების მოთხოვნა. რაც შეეხებოდა გამოკითხვებს, ვერცერთ სტუდენტს და ვერცერთ თანამშრომელს დაწესებულება ვერ აიძულებდა გამოკითხვებში მონაწილეობას, თუმცა გამოკითხვა ეყრდნობოდა ანალიზის პროცესებს

საბჭოს წევრის, ირაკლი კოხრეიძის თქმით, მისი აზრით, თვითმმართველობის ერთ-ერთი აქტივობა უნდა ყოფილიყო გამოსვლა მოხსენებით დაწესებულების საბჭოს წინაშე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ისინი არ ერეოდნენ ამ კუთხით თვითმმართველობის საქმიანობაში. საბჭოს წევრი დაინტერესდა - თუ გამოდიოდა სტუდენტური თვითმართველობის პრეზიდენტი საბჭოს წინაშე და შემუშავებული და დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით. ასევე, მისი თქმით, უკუკავშირის სახით სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტს უნდა ჰქონოდა ინფორმაცია სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების აქტივობის შესახებ.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ინფორმაცია ყველა ღონისძიების შესახებ, სადაც ჩართული იყო დაწესებულების სტუდენტური თვითმმართველობა მოცემული იყო ვებ-გვერდზე. მისი თქმით, სტუდენტური თვითმმართველობა იყო ავტონომიური ერთეული, შესაბამისად, აკადემიურ საბჭოზე

თვითმმართველობის პრეზიდენტი წარმოდგენილი იყო იმ თემატიკასთან მიმართებით, რაც ეხებოდა აკადემიურ საბჭოს, მაგალითად, საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის განხილვა, თვითმართველობის ბიუჯეტის განხილვა და ა.შ.

საბჭოს წევრმა, ირაკლი კოხრეიძემ აღნიშნა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტები ხშირად ურთიერთობენ დამსაქმებლებთან, მათგან იღებენ გარკვეულ რეკომენდაციებს, ის დაინტერესდა დაწესებულების წარმომადგენლის აზრით ამ რგოლის გაძლიერება ხომ არ დაეხმარებოდა მათ იმ პრობლემების დაძლევაში, რაც ექსპერტებმა დასკვნაში დაწერეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კარიერული ზრდის სამსახურსა და სტუდენტურ თვითმართველობას განსხვავებული ფუნქციები გააჩნდათ, მათ მოვალეობაში ეს ფუნქცია არ შედიოდა, თუმცა შესაძლებელი იყო გადაეხედათ ამ რეკომენდაციისთვის.
დაწესებულების იურისტმა, ამირან გიგუაშვილმა ითხოვა დაბრუნებოდნენ დაწესებულებაში დოკუმენტების შენახვის საკითხს. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის ბრძანება №72 -თან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის ეთანხმება საბჭოს თავმჯდომარეს, რომ მატერიალური სახით დოკუმენტები დიდხანს უნდა არსებობდეს, მათ შორის საგამოცდო ნაშრომები, თუმცა ამ შემთხვევაში მოქმედებდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონიც, ბრძანების 387^1 გრაფაში მითითებული იყო, რომ წერილობითი საგამოცდო სამუშაოების შენახვის ვადა იყო 3 წელი, სადაც ასევე დამატებული იყო შენიშვნა, რომ შეფასების გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ ნაშრომი უნდა განადგურებულიყო, ეს დათქმა გაჩნდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონში დათქმის შემოღების შემდეგ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სხვაგან სადაც ის ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, კერძოდ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტშიც იყო მოთხოვნა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ ამ ნაშრომებს მატერიალური სახით არ უნდა ეარსება. მისი თქმით, ისინი საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებას გაითვალისწინებენ და სტუდენტის საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე გადახედავენ ამ საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ დასძინა, რომ ჩანაწერი ითვალისწინებდა ნაშრომის შეფასების გასაჩივრების ვადის გასვლიდან სამ წელს, ასევე დაინტერესდა თუ იყო ექსპერტებისათვის ხელმისაწვდომი მაგალითად, ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური პროგრამის სტუდენტთა ნაშრომები.

ექსპერტმა, გოჩა თუთბერიძემ პირველ რიგში აპელაციის წესთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა აპელაციის წესი, ექსპერტებმა ნახეს ინფორმაცია გასაჩივრებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა ელექტრონულ სისტემაში სტუდენტების მიერ აღმოჩენილ შეცდომებს, უშუალოდ აპელაციის წესის გამოყენების შესახებ ინფორმაციის დადასტურებები კი ვერ მოიძიეს. გასაუბრებისას სტუდენტთა პასუხი იყო, რომ მათ არ დასჭირვებიათ აპელაციის მექანიზმი, დაწესებულების წარმომადგენლის მიერ მანამდე ნახსენები აპელაციის 2 ფაქტი ეხებოდა შეცდომების გასწორებას ელექტრონულ სისტემაში და არა აპელაციას. მან ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტებს არ ჰქონდათ ინფორმაცია აპელაციის წესის შესახებ. ექსპერტის, გოჩა თუთბერიძის თქმით, დაწესებულების წარმომადგენლებს უნდა გადაედგათ შესაბამისი ნაბიჯები, რომ სტუდენტებს სცოდნოდათ თავიანთი უფლებების შესახებ.

რაც შეეხებოდა შეფასების სიტემას, ექსეპერტის განმარტებით, შეფასების მეთოდები გაწერილი იყო სასწავლო პროცესის მართვის წესში, გამოცდის, აპელაციის წესში. სასწავლო კურსების სილაბუსები შესაბამისობაში იყო დაწესებულების მიერ გაწერილ შესაბამის წესებთან. შეფასების პროცესს რაც შეეხებოდა, დაწესებულებას ჰქონდა საგამოცდო ცენტრი, არსებობდა

შემუშავებული ელექტრონული პროგრამა, სადაც სტუდენტები ძირითადად ტესტურ კითხვებზე პასუხობდნენ, თუმცა შეფასების რეალურ პრაქტიკასთან დაკავშირებით ადგილი ჰქონდა გარკვეულ შეუსაბამობებს, მაგალითად - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიხედვით, გამოცდის მაქსიმალური დრო იყო 3 საათი, ხოლო ლექტორი თვითონ წყვეტდა რამდენი დრო სჭირდება გამოცდას, მაგრამ ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობდა ხარისხის სამსახური, რომელსაც უნდა შეემოწმებინა რამდენად ადეკვატური იყო ის დრო რაც დათმობილი იყო გამოცდისთვის. ექსპერტმა, გოჩა თუთბერიძემ ასევე აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს წარმოდგენილი იყო მიმდინარე სემესტრში შესრულებული მხოლოდ 5 სტუდენტის საგამოცდო ნამუშევარი, რომელიც ამოღებული იყო ელექტრონული პროგრამიდან და შედგებოდა მარტივი კითხვებისგან, რომელთა საშუალებითაც ვერ მოხდებოდა სტუდენტების მიერ კურსებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების შეფასება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაამატა, რომ როდესაც მათ მოწვეულ და აკადემიურ პერსონალთან დასვეს შეკითხვა შეფასებასთან დაკავშირებით, ნაწილმა გაიზიარა ექსპერტთა შეხედულება, რომ 30 წუთი გამოცდისთვის არ იყო საკმარისი, ნაწილმა კი დაუდასტურა, რომ 30 წუთი იყო ძალიან ცოტა დრო, თუმცა მზადდებოდა ახალი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები, სადაც იქნებოდა გათვალისწინებული დასკვნითი გამოცდისათვის შესაბამისი გონივრული დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს დაეზუსტებინათ რისგან იყო გამოწვეული უზუსტობები სტუდენტთა რაოდენობებთან მიმართებით დაწესებულებისა და ემისის ბაზაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს გამოწვეული იყო დაწესებულების მიერ სტუდენტთა სტატუსის შეჩერების ბრძანებების ემისის ბაზაში დაგვიანებით ასახვით, რის გამოც სასწავლო პროცესის მართვაზე პასუხისმგებელ პირს გამოეცხადა საყვედური.

საბჭოს წევრი, დავით ბოსტოღანაშვილი დაინტერესდა, როგორ ხდებოდა სწავლის შედეგების შეფასება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თვალსაზრისით, თუ ნაშრომები 1 კვირაში ნადგურდებოდა. მან აღნიშნა, რომ ამ კუთხით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვერ შეამოწმებდა სწავლის შედეგების მიღწევას სტუდენტების მიერ და რომ ხარისხის განვითარების კულტურის დამკვიდრების თვალსაზრისით აუცილებელი იყო ნაშრომების შენახვა გონივრული ვადით, და ეს ვადა უნდა ყოფილიყო ერთ კვირაზე გაცილებით მეტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ რეკომენდაციას იღებდნენ, მაგრამ მოიყვანა ის მაგალითი, რომ მიმდინარე ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ვიდეო ჩანაწერიც ოქმის შედგენის შემდეგ განადგურდებოდა და თუ სტუდენტთა ნაშრომების შენახვა იყო აუცილებელი, ამ შემთხვევაში საბჭოს შეხვედრის ჩანაწერიც უნდა შენახულიყო და არ უნდა ნადგურდებოდეს, ვინაიდან ეს შეიძლება იყოს პრობლემა აპელაციის პროცესში.
საბჭოს წევრმა, დავით ბოსტოღანაშვილმა განმარტა, რომ საბჭოს ვიდეო-ჩანაწერის საფუძველზე დგებოდა სხდომის ოქმი, სადაც სრულად იქნებოდა მოცემული საბჭოს სხდომა და სწორედ ოქმის საფუძველზე ხდებოდა შემდგომი აპელაცია, ამიტომ ჩანაწერის განადგურების შემთხვევაში, პრობლემა არ იქმნებოდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დევი ხვედელიანმა დაამატა გამოცდების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, რომ საგამოცდო ცხრილი მტკიცდებოდა რექტორის ბრძანებით, გაწერილი იყო შესაბამისად რომელ საგანს, რომელ საათზე უწევდა გამოცდა. რაც შეეხებოდა 30 წუთს, ის იყო ჯგუფის გამოცდაზე შესვლის დრო, ტესტის და ღია კითხვის

შინაარსს რაც შეეხებოდა, მას აყალიბებდა ლექტორი აკადემიური თავისუფლებიდან გამომდინარე.

საბჭოს წევრმა, მაია მანწკავამ აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ სასწავლო პროცესის მართვის საკუთარი ელექტრონული სისტემა, ის დაინტერესდა ამ დაწესებულებამ ამ ბაზაზე დააშენა ელექტრონული სწავლება, თუ უკვე არსებული რაიმე სხვა სისტემით ხდებოდა სწავლება, მან ასევე იკითხა ხდებოდა თუ არა ლექციების ჩაწერა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი იყენებდნენ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემას, ზუმს და ბიბლიოთეკის რესურს, ინფორმაცია იდებოდა დაწესებულების ვებ გვერდზე, რომელიც დაცული იყო პაროლით და წვდომა ჰქონდათ კოლეჯის თანამშრომლებსა და სტუდენტებს, ინფორმაცია იგზავნებოდა ელექტრონული ჟურნალის მიხედვით, მასალები ატვირთული იყო ვებგვერდზე, ლექციები მიმდინარეობდა ზუმის საშუალებით, ხდებოდა მათი ჩაწერა და ატვირთვა ვებგვერდზე.

საბჭოს წევრი, ნინო ინასარიძე დაინტერესდა თუ გეგმავდნენ დაწესებულების წარმომადგენლები შეფასების კრიტერიუმების ცვლილებას, გამომდინარე დღევანდელი მდგომარეობიდან.

საბჭოს წევრი ირმა ჭანტურია კი დაინტერესდა რამდენად კონკურენტუნარიანები იყვნენ კურსდამთავრებულები და ძირითადად რა სექტორში საქმდებოდნენ ისინი.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ ისინი გეგმავდნენ შეფასების კომპონენტების ცვლილებას, იმისათვის რომ სტუდენტს ჰქონოდა მეტი საშუალება გასულიყვნენ იმ შედეგზე რაც საჭირო იყო, ფიქრობდნენ კომპონენტების გადანაწილებას შემდეგნაირად: 40 - წინარე კომპონენტებისათვის, ხოლო 60 - გამოცდის ნაწილში, მათ შორის იქნებოდა ჩაშლილი სხვადასხვა ტიპის შეფასებები, რაც უახლოეს მომავალში დამტკიცდებოდა.

საბჭოს წევრი, დავით ბოსტოღანაშვილი, დაინტერესდა თუ იყო გათვალისწინებული შუალედური შეფასებისათვის მინიმალური ზღვარი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ გათვალისწინებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ, თამარ ზარანდიამ სთხოვა ცენტრის წარმომადგენელს, ლაშა მარგიშვილს განემარტა დაწესებულების ავტორიზაციის ვადებთან დაკავშირებით, როდის გასდიოდა დაწესებულებას ავტორიზაციის ვადა.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას 2019 წელს გასდიოდა ვადა, რადგან მან ავტორიზაცია მოიპოვა 2014 წელს, თუმცა 2019 წელს მოხდა ორი იურიდიული პირის რეორგანიზაცია: შპს ნიუ უნივერსითი და შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებელი გაერთიანდა. მისი განმარტებით, ავტორიზაციის დებულების მიხედვით, იმ შემთხვევაში, როდესაც ორი იურიდიული პირი ერთიანდებოდა და ერთ-ერთის ვადა ემთხვევა ავტორიზაციის ვადის გასვლის პერიოდს, ავტორიზაციის საბჭო დაწესებულებას აძლევს მაქსიმუმ 1 წლიან ვადას ავტორიზაციის მომართვისათვის. გამომდინარე აქედან, 2019 წლის ივლისში დაწესებულებას 1 წლით გაუხანგრძლივდა ავტორიზაციის ვადა, შესაბამისად, მას ავტორიზაციის ვადა გასდიოდა 2020 წლის 12 ივლისს. ლაშა მარგიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადი უკვე შემოტანილი ჰქონდა ცენტრში და მიმდინარეობდა ის პროცესები, რაც გათვალისწინებული იყო ავტორიზაციის დებულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა დევი ხვედელიანმა დაამატა, რომ ისინი პარალელურად ეცნობოდნენ რეკომენდაციებს და გაითვალისწინებდნენ მათ ავტორიზაციის საბჭოს წინაშე წარდგენამდე.
ავტორიზაციის საბჭოს დამსწრემ, დავით ცირამუამ სთხოვა საბჭოს თავმჯდომარეს მიეცა მისთვის საშუალება დაწესებულების წარმომადგენლისათვის დაესვა შეკითხვა, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ მისცა თანხმობა. დავით ცირამუამ აღნიშნა, რომ მას გაახსენდა ერთ-ერთი წინა საბჭოს სხდომა, სადაც მიდიოდა მსჯელობა სტუდენტის სტატუსის შეჩერებაზე. ის დაინტერესდა დაწესებულების წარმომადგენლები რამდენად სამართლიანად თვლიდნენ სემესტრის ბოლოს სტუდენტისათვის სტატუსის შეჩერებას, მისი პირადი განცხადების გარეშე და ფინანსური დავალიანების გამო, რატომ აძლევდნენ სტუდენტებს საშუალებას ფაქტობრივად 3 თვე ესწავლათ და შემდეგ სტუდენტის სტატუსის შეჩერებით ეს შრომა ჩაეყარათ წყალში. ასევე, მან დაწესებულებას სთხოვა გარკვეული განმარტების გაკეთება, რადგან ის ვერ მიხვდა რატომ აკავშირებდნენ დაწესებულების წარმომადგენლები აკადემიურ თავისუფლებას ენის კომპეტენციის დადგენის ტესტთან იქედან გამომდინარე, რომ არაქართულენოვანი სტუდენტების ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი საერთო იყო.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულებისა და მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით, სტუდენტს უფლება ეძლეოდა ესარგებლა კონკრეტული შეღავათებით, ხდებოდა გრაფიკის შედგენა, რომელთა დაცვაც მოეთხოვებოდა ყველა მხარეს; მსგავსი გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, დაწესებულება სტუდენტებს აძლევდა სწავლის საფასურის გადანაწილების საშუალებას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი იყვნენ კერძო უმაღლესი დაწესებულების წარმომადგენლები და იძულებულები იყვნენ შეთანხმების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტისთვის შეეჩერებინათ სტატუსი. რაც შეეხებოდა ტესტს, აკადემიური თავისუფლება ეხებოდა ლექტორების მიერ ბაკალავრიატში შეფასებებს, ხოლო ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ აღნიშნეს, რომ აკადემიური თავისუფლებაზე საუბარი ამ პროგრამასთან მიმართებით არ იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტები დასკვნაში მიუთითებენ, რომ დადასტურდა შემთხვევები, როცა დაწესებულებაში პედაგოგი ლექციებს კითხულობდა სხვა პედაგოგის სილაბუსის მიხედვით, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებობდა სილაბუსის ავტორი და განმახორციელებელი და რომ ის ვერ ხვდებოდა რა იყო ამაში დარღვევა.

დავით ცირამუამ დააზუსტა კითხვა და აღნიშნა, რომ მისი შეკითხვა ეხებოდა არა ეთიკის პრინციპების დაცვას, არამედ დაწესებულების მიერ აზერბაიჯანის მოქალაქე იმ სტუდენტების ქართული ენის კომპეტენციების შემოწმებას, რომლებიც არ იყვნენ ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტები და ჩაირიცხნენ ბაკალავრიატში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბაკალავრიატში უცხო ქვეყნის მოქალაქის ჩარიცხვასთან დაკავშირებით არსებობდა დადგენილი წესი, რომლის დაცვაც მოეთხოვებოდა ყველა უმაღლეს სასწავლებელს, უნდა ეარსება ჩანაწერს, რომელიც უნდა გაგზავნოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ამ მიმართულებით აკადემიურ თავისუფლებაზე საუბარი მას არ ჰქონია. მისი განმარტებით კონკრეტულ საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნდა ჩარიცხვის წინაპირობები, ასევე, არსებობდა მარეგულირებელი დოკუმენტები, რომელთა დაცვითაც ხდებოდა სტუდენტთა ჩარიცხვა.

საბჭოს წევრმა, მორის შალიკაშვილმა საბჭოს წევრებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს უთხრა, რომ ფრაზა „აკადემიურ თავისუფლება“ ოქროს გასაღებად იქცა, და აღნიშნა, რომ მას

საბჭოს მიმდინარეობისას გაუჩნდა განცდა, რომ ბევრ საკითხზე პასუხის გაცემა ვერ მოხდა დაწესებულების მიერ და რომ შესაძლებელი იქნებოდა უფრო კომპეტენტური პასუხების გაცემა, თუ დაწესებულების წარმომადგენლები კარგად გამოიკვლევდნენ ამ პრობლემებს.

სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 15:54 საათზე.
სხდომა განახლდა: 16:18 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ხარვეზები ნამდვილად იყო და მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის. ასევე დასძინა, რომ დაწესებულებას ძალიან მალე უკვე უწევდა ავტორიზაციის პროცესი, ვინაიდან ავტორიზაციის ვადა გასდიოდათ 2020 წლის 12 ივლისს და წარმოება უკვე დაწყებული იყო, სადაც მოხდებოდა დაწესებულების სრული შემოწმება ყველა სტანდარტთან და სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით. ამავდროულად, საბჭოსთვის მნიშვნელოვანი იყო რომ ავტორიზაციის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ყოფილიყო გამახვილებული იმ ხარვეზებზე, რომელიც მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში იქნა გამოვლენილი. შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც დაწესებულების შეფასება ავტორიზაციის ყველა სტანდარტთან მიმართებით საავტორიზაციო განაცხადის საფუძველზე უნდა განხორციელებულიყო მომავალი 60 დღის განმავლობაში 2020 წლის 12 ივლისამდე, მიზანშეწონილი იყო, რომ მონიტორინგის შედეგების გადამოწმებაც მომხდარიყო ერთიანი წარმოების ფარგლებში.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მილენიუმის სასწავლო უნივერსიტეტისთვის ხარვეზების გამოსასწორებლად 60 დღიანი ვადის მიცემის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 12-ე პუნქტის შესაბამისად, შპს მილენიუმ სასწავლო უნივერსიტეტს (ს/კ: 204379083) დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად განესაზღვროს 60 დღის ვადა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 16:23 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ